2025.12.04 - განმარტებითი ბარათი

გადაწყვეტილება № 7722035- ის ხარვეზების შესაბამისად, განვაახლეთ დოკუმენტაცია:

- კონსტრუქციული პროექტის შტამპები განახლებულია, დატანილია შემსრულებლის ვინაობა და ხელმოწერა. გთხოვთ, იხილოთ ველში " .შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. *"

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის N 18-01253363672 წერილში დადგენილი ხარვეზების შესაბამისად, გწერთ პასუხებს:

- განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სათანადო ტოპოგრაფიული გეგმა, რომელზეც დატანილი უნდა იყოს საპროექტო ბეტონის კონსტრუქციასა და მწვანე ნარგავებს შორის დაშორების მანძილები. (აღნიშნული ინფორმაცია ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი უნდა იყოს პირობითი ნიშნებით, რათა მკაფიოდ გამოიყოს და მარტივად იდენტიფიცირდეს საპროექტო კონსტრუქცია და მისი შემადგენელი ნაწილები).
  დაინტერსებულმა პირმა ცალკე ცხრილის სახით უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ხელისშემშლელი ნარგავების შესახებ ინფორმაცია საექსპერტო დასკვნაში მითითებული ნუმერაციის შესაბამისად.

ვინაიდან საპროექტო ბეტონის კონსტრუქციასთან (საყრდენ კედელთან) ერთად ეწყობა ქვაბული, სამშენებლო არეალი მოიცავ სრულ საპრეოტო არეალს როგორც ეს მონიშნულია N18-01252472927 წერილით შეთანხმებულ "პროექტის ხელისშემშლელი, მოსაჭრელი და გადასარგავი მწვანე ნარგავების" განლაგების გეგმაზე

აღნიშნულ გეგმასთან ერთად ასევე წარმოდგენილია ხელისშემშლელი ნარგავების ცხრილი საექსპერტო დასკვნაში მითითებული ნუმერაციის შესაბამისად.

- ატვირთულ საექსპერტო დასკვნაზე ელექტრონული ან მატერიალური წესით ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისე, რომ ხელმოწერა იყოს ტექნიკურად დაცული და არ ექვემდებარებოდეს ცვლილებას დოკუმენტის რედაქტირებისას.

წარმოდგენილი საქეპერტო დასკვნა არის ზუსტად იგივე რაც მოწოდებული იყოს N18-01252472927 წერილით შეთანხმებულ დენდროლოიურ პროექტში. დოკუმენტში არ განხორციელებულა არავითარი ცვლილება.

- საექსპერტო დასკვნას თან უნდა დაერთოს ნუმერაციის მიხედვით ნარგავების სრულად ამსახველი (ფერადი) ფოტომასალა (A-4 ფორმატში, ფოტოზე უნდა ჩანდეს მთლიანი ღერო და ვარჯი).

გამომდინარე იქიდან, რომ ფოტოების ჯამური მოცულობა არის 2,15 GB, გიგზავნით ლინკს: https://we.tl/t-U4FEMZeYzp

- გასაშენებელი მცენარეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 2025 წლის 4 სექტემბრის N18-01252472927 წერილით შეთანხმებული სახეობების შესაბამისად.

(დასარგავად შემოთავაზებული ქართული ნეკერჩხლის ნერგი ადგილობრივ სანერგეებში ძნელად მოსაძიებელი მცენარეა, შესაბამისად განმცხადებელმა საპროექტო ტერიტორიაზე დასარგავად (იმავე რაოდენობის) დიდი ვარჯის მქონე სხვა სახეობის ნარგავები უნდა შეარჩიოს. ამასთან გაცნობებთ, რომ გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა მიეთითოს გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი. (პროექტი უნდა დასრულდეს შენობის/ ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე).

წარმოდგენილია შესაბამისად

- ვინაიდან გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე მითითებული, გასაშენებელი მცენარ(ეებ)ის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი (სს ,,სილქნეტი“) არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია წარმოდგენილი იყოს აღნიშნული ორგანიზაციის წერილობითი დასტური ან მასთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრული იქნება, რომ იგი იღებს პასუხისმგებლობას დარგული მცენარ(ეებ)ის მოვლა- პატრონობაზე 3 წლის განმავლობაში. ანდა გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე, გასაშენებელი მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხიმგებელ პირად უნდა მიეთითოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით.

წარმოდგენილია გასწორებული ბანერი